ნიკოლოზ კაჭახიძე

სტრატეგიული საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

პოლიტიკურ მეცნიერებათა და საჯარო

ადმინისტრირების ეროვნული უნივერსიტეტის (SNSPA), რუმინეთი

2026 წლის 14 თებერვალს აღმოვჩნდი ყოვლად უცხო რეალობაში, ისეთ შეგრძნებებთან მარტო, როგორიც აქამდე არ განმიცდია. ბუქარესტში ცხოვრება და ევროპულ უნივერსიტეტში სწავლა არ აღმოჩნდა ჩვეული მოვლენა. რომაელების ლინგვისტურ და კულტურულ მემკვიდრეებთან თანაცხოვრება უცნაურიც კი იყო.

თუმცა, ცხოვრების ამ პერიოდმა საშუალება მომცა, ჩემი პიროვნებისა და საქმიანობისთვის უფრო ფართო პერსპექტივიდან შემეხედა. ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საქართველოსა და მისი ინსტიტუტების სხვა გამოცდილებებთან შედარების შესაძლებლობა და იმის გააზრება, რომ ინსტიტუტებისა და პოლიტიკის შეფასება მხოლოდ მათი ფორმალური არსებობით არ უნდა შემოიფარგლოს; მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ მუშაობენ ისინი პრაქტიკაში და რამდენად პასუხობენ საზოგადოებაში არსებულ საჭიროებებს.

მადლობა SNSPA-ს და, განსაკუთრებით, კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლას, რომელთა მხარდაჭერამ შესაძლებელი გახადა ამ გამოცდილების მიღება. რაც მთავარია, ახლა უკეთ ვიცი, რომ აუცილებელია უცხოეთში მიღებული გამოცდილება ისევ საქართველოში დავაბრუნოთ და ისეთი საზოგადოება გავხდეთ, რომელზეც ასევე აღტაცებით ისაუბრებენ სხვა ქვეყნის სტუდენტები თუ პროფესორები.

შესაძლოა, ეს ოდნავ პათეტიკურად ჟღერდეს, თუმცა ჩემთვის პოეტურიც კი იყო რუმინეთში მოგზაურობა, როცა ვიცოდი, რომ ამავე, ოღონდ ბევრად უფრო ეკლიან გზაგზე, კიდევ ერთ ქართველს, ანთიმოზ ივერიელს ჰქონდა გავლილი.